Maia Nadare
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
PhD in Philology (International Journalism),
Founder and Director of BRAMS Institute,
Academician of Criminology at GACS

MEDIA FREEDOM AND THE RIGHT TO BE LAZY

(Abstract)

KEYWORDS: Media Freedom, Democracy, Aristotle, Philosophy, Education, Leisure, Human Rights

One of the most common and influential malpractices of the modern media virus is performed by using the names of preferable values in the disguise of unfavourable ones. Simply put, this works similar to the notorious replacement of the word 'depression' by a fresh term 'recession' in the 1930s, being claimed they had nothing to do with each other as if they totally differ.

A similar tactic is used against freedom of the media. Its current problem occurs specifically because of the fundamental changes in the understanding of the concepts of democracy and freedom – the names remain linked to their stereotypical images while they actually mean the exact opposite of what they are meant to be. A twisted language like this is akin to Newspeak described in George Orwell's novel *1984* (1948) over 70 years ago. Gianni Rodari's *Gelsomino in the Country of Liars* (1958) describes a land ruled by the crowned ex-pirate Giacomone whose royal decree has made mandatory for all his subjects to speak untruths, and whoever dares not to lie, ends up in a psychiatric institution; thus even the dogs meow and cats bark, and the life goes on as such.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

The masses are generally unaware that even the original version of democracy was considered to be faulty by Aristotle who introduced democracy to the world. The Greek philosopher clearly states in his *Politics* that democracy falls in the same group as tyranny and oligarchy, and the three of them serve the interest of the rulers and never to the common people. Therefore, democracy – especially extreme democracy that can lead and is lead to demagogues of our modern times – is only better than tyranny. On the contrary, polity, being an ideal kind of democracy, serves the common interests, cultivating a happy medium. Naturally, we should aim for the best system, not faulty from the start.

Furthermore, in a modernised version of democracy people are only offered the illusion of choice instead of the right to actually choose since what or who they vote for never affects the final result. The 2010 UK general election is a perfect example of this: whether voting for Conservative David Cameron or Liberal Democrat Nick Clegg, they would both still make it in the top positions. The system performed an even more crooked way in the general election 2017. The new generation of voters is not supposed to become aware of this sort of political standstill when the swapping places of two elements (i.e. political parties or their candidates) still get the identical result. For their happy ignorance, fundamental mathematics was replaced by so-called new maths.

The current reality in which freedom of the media suffocates 'in major democracies as well as in repressive states', is the outcome of the specific 'cold war' held against the fourth estate through the decades. When the 'wise men' (i.e. homo sapiens) accept democracy and give out all the responsibilities over their lives to the representatives, it seems similar to the 'washing hands' by Pontius

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Pilate as if the crucifixion of Jesus Christ was not on him. Modern democracy is, definitely, on us.

Media Freedom stems from personal freedom. Therefore, one of the essential parts of the strategy of overthrowing the fourth estate is to cleanse the society from people with common sense and to form an indifferent mass of ignorant individuals who are convinced that they do not want to and do not need to think. The 'caring' government frees this new style of homo sapiens from the obligation to think independently.

The first step towards solving the said multifaceted problem begins by raising new generations with the proper understanding of democratic values and the concept of freedom. As the French aviator and writer Antoine de Saint-Exupéry put it, "all grown-ups were once children" and thus, the freedom of choice can be guaranteed only by protecting the choice of the little ones from their childhood. Education reform will never be able to reach the 21st century standards if the so-called reformers will not take into consideration the fundamental, real meaning of the word 'school', which is 'leisure'. Aristotle saw leisure – the freedom from obligations and necessities of life – as "the goal of all human behaviour".

In the Aristotelian system of the proper upbringing of the citizen, the harmonious development of a person is given a major place. It involved preparing an individual for the proper use of free time. Technically, this means cognition for the purpose of cognition.

The life of an individual cannot be dignified and full-fledged without practicing philosophy, the skill that we have lost since we have been standing 'idle' without thinking. The people were made accustomed to not thinking and thus, they got used to living without thinking. Eventually, thinking has become a redundant function for a

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

human being and once praised homo sapiens for being wise now has easily agreed to a public controlling system dubbed as democracy.

Written in Saint Pélagie Prison in 1883, Paul Lafargue's *The Right to Be Lazy* is considered to be 'a logical expansion of The Right to the Pursuit of Happiness announced by Thomas Jefferson in the *Declaration of Independence*'. But the French masterpiece goes much further as it explains and unveils his modern system of total enslaving of the population in a secret, civilised manner. This aspect is extremely important today along with the much-discussed labour rights. People in the developing countries crave for the Western systematic practice of employment, which they believe they have been massively deprived of. At the same time, bypassing the main issue, special emphasis is put on the secondary problem.

Lafargue discusses a far more important issue – the right to be idle while being employed. To avoid ambiguity or misunderstanding, it should be noted that the French word 'paresse' used by Paul Lafargue does not mean 'laziness' – as it is widely advertised in the English translation – but rather 'not working' as in 'not active' in the means of professional duties. Clearly, the right to be lazy will never support the preferable lifestyle of couch potatoes.

The problems of unemployment and redundancy become solvable only if labour and leisure are equally cared for. The right to work can be protected much more effectively and automatically by protecting the right to rest. Such a relevant approach towards the harmonisation of work and rest can bring society closer to the concept of freedom, which in turn will ensure Media Freedom as well.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
კრიმინოლოგიის აკადემიკოსი (სკმა),
საერთაშორისო ჟურნალისტიკის დოქტორი (თსუ),
ბრამსის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი

მედიათავისუფლება და ადამიანის „სიზარმაცის უფლება“

საკვანძო სიტყვები: მედიათავისუფლება, დემოკრატია, არისტოტელე, ფილოსოფია, განათლება, თავისუფალი დრო, ადამიანის უფლებები

დღევანდელი რეალობა მეოთხე ხელისუფლების წინააღმდეგ ათწლეულების განმავლობაში წარმოებული ფარული თუ აშკარა „ცივი ომის“[11] შედეგების დემონსტრირების პერიოდია. მართალია, ჟურნალისტიკის კანონიერი ძალაუფლების მოსპობისათვის ყველაფერი გაკეთდა, მსოფლიოში კანტიკუნტად შემორჩენილი ჭეშმარიტი პროფესიონალების შეუპოვრობის წყალობით, ტრადიციული მედია მთლიანად ვერ განადგურდა. ჯერ კიდევ შეიგრძნობა მსოფლიო ჟურნალისტიკის მისუსტებული მაჯისცემა. თუმცა, „უკანასკნელი მოჰიკანის“[18] გაქრობისთანავე, საბოლოოდ დადუმდება ამ უნიკალური პროფესიის მფეთქავი გული – ბევრად უფრო ადამიანური, ვიდრე თანამედროვე არსების თავსმოხვეული ტიპაჟი, რომელიც homo sapiens inscius-ად (ლათ. „უგუნურ გონიერ ადამიანად“) გადანათვლას იმსახურებს.

ადამიანის ლათინური სახელის შეცვლის იდეა არახალია,[36] რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი „გონიერი“ ჯილაგის უგუნურება სხვასაც ადარდებს. სასაცილო ისაა, იდეის ავტორს მეცნიერთა ნაწილი აღშფოთებული რომ დაუპირისპირდა. ეს ხომ მხოლოდ პუბლიცისტური სიტყვის მასალა იყო, თანამედროვეთა პრობლემაზე და-

BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ფიქრების მიზნით წამოჭრილი. ავტორიტეტულ ავსტრალიელ მწერალსა და პუბლიცისტს, 30-ზე მეტი პრესტიჟული ჟურნალისტური ჯილდოს მფლობელს, რვა წიგნის ავტორს, რედაქტორსა და გამომცემელს – ჯულიან კრიბს[28] საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სურდა ჩვენი გლობალური უსაქციელობისკენ. სამეცნიერო თემატიკა მისი პროფილია, ხოლო მიზანი – გენმოდიფიცირებული საკვების ანდა ტოტალური დამშევისგან თანამედროვე საზოგადოების გადარჩენა. საინტერესოა, რომ პასუხის ნაწილი იმ აღშფოთებულ მეცნიერთა არგუმენტები აღმოჩნდა, რომლებიც ცდილობდნენ ჰომო საპიენს საპიენსის მართებულობის დამტკიცებას. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მქონეთა ნაწილი ლაკონიური რეაქციით შემოიფარგლა: კრიბის იდეას სულელური უწოდა. ეს სულაც არ იყო იდეა. ამიტომ, საკუთარი საპიენსობა დააყენეს ეჭვქვეშ. თუმცა გონიერი მეცნიერები ჯერაც იზრდებიან განადგურებული განათლების სისტემის მიღმა და რამდენიმემ გულშემატკივრულად დააკომენტარა: ჯულიან კრიბი ვისაც გულისხმობს, იმათ სახელის გადარქმევა ვერ უშველითო.

მოკლედ, ჩვენი „გლობალური სოფელი“[13] იმდენად უტოპიურია, რომ ოაზისივით მირაჟული ჩანს. ან, იქნებ, დასიცხული მოსახლეობის ინდიფერენტულობით იმედგადაწურული პროვინციაა, უდაბნოს ქვიშნარს რომ შერევია სამუმის შემდეგ.

ჰომო საპიენსს ოფიციალურად ჩამოერთვა დამოუკიდებლად აზროვნების უფლება. გულუბრყვილო ვირის ტყავში ძალად გახვეული და ცხვირწინ ჩამოკიდული ჩალის არომატზე კონცენტრირებული, თივის მიღმა ვერაფერს უნდა ამჩნევდეს და მისი სათანადოდ ინფორმირების მსურველი „გამაუბედურებლად“ მიაჩნდეს.[2] ამგვარი ინსტრუქტაჟის შედეგად, ბუნებრივია, რომ საზოგადოება ტრადიციულ ჟურნალისტიკას ანაქრონიზმად თვლის, ეშინია მისი და არ ენდობა. ზოგს სძულს კიდეც ამ პროფესიის ღირსების დამცველი, რადგან პირადი მტერი ჰგონია.

BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

მედიას თანდათანობით ჩამოაშორეს ბრძოლით მოპოვებულ უფლება-მოვალეობები და მძლავრი მასობრივი კომუნიკაციიდან ინფორმირების პრიმიტიულ საშუალებებამდე დაიყვანეს.[10] ნიუსების გავრცელების კონტროლი ანუ – რა როდის უნდა ეცნობოს საზოგადოებას, ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ჟურნალისტებისა და აუდიტორიის აზროვნების კონტროლი. ამიტომაც, მეოთხე ხელისუფლების დამხობის სტრატეგიის ერთ-ერთ არსებით ნაწილს წარმოადგენს საზოგადოების წმენდა მოაზროვნე ინდივიდებისგან და ისეთი ინდიფერენტული მასის ჩამოყალიბება, რომელიც დარწმუნებულია, რომ არ სურს და არც სჭირდება ფიქრი. მეორეხარისხოვანი ვოდევილის რეჟისორთა დონის პირები, ჩვენი თანამედროვე სამყაროს საზოგადოებრივ შოუებს ვინც დგამს და წარმართავს, ხელის აქნევით ბრძანებენ – აბა, ფიქრი მაჩვენეთ, ფიქრიო და ხალხიც მონდომებულად იღებს დაფიქრებულის პოზას. ის ავიწყდება, რომ ფიქრს გონება და აზრი წარმართავს, ფიზიკური მდგომარეობა კი არა.

ოსტატურად განხორციელებული საკანონმდებლო ჩასწორებების წყალობით გათითოკაცებულ თემს უმტკიცებენ, რომ მისთვისვე უმჯობესია პირად კეთილდღეობაზე ორიენტირება. მატერიალისტური მოთხოვნების წინა პლანზე დაყენება ხალხის ცნობიერებაში მთლიანად სპობს ზოგადსაკაცობრიო ინტერესების მხარდაჭერის სურვილს.[29] ამგვარად თმობს „ჰუმანურ“[8] ანუ საკუთარ კანონიერ ადამიანურ უფლებებს. თუ არ დათმობს, პოლიტიკური ბულინგის ისეთი მსხვერპლი გახდება, ჯარიმის გადახდითა და ბოდიშის საჯაროდ მოხდით თუ დააღწია თავი, სამუდამოდ „მადლიერი დარჩება პატრულის“.[12] სამაგიეროდ, სხვის მაგალითზე ჭკუანასწავლ მასას აზრადაც აღარ მოუვა დირექტივებზე ფიქრი და ავტომატურად დაემორჩილება ყველაფერს. ზოგი უფრო შორს წავა და ხელს პირველი წამოავლებს სასროლ ქვას თავისუფალი აზრის ჩასაქოლად.

მედია ვეღარ აკონტროლებს ხელისუფლების სამ შტოს (საკანონმდებლოს, აღმასრულებელსა და სასამარ-

თლოს),[22] რომლებიც თავადაც უხილავი მმართველი ელიტის მარიონეტებად ქცეულან. ახალ წყობას ძველებურად „დემოკრატიას“ უწოდებენ და ყველა კმაყოფილების ნიღაბს ირგებს, რომ მშვიდად არსებობის უფლება მოიპოვოს. ფარული კამერების სამყაროში სამსახიობო ხელოვნებას ძალაუნებურად ეუფლება ადამიანი, მაგრამ მისი ბუნების გენეტიკურ დონეზე შეცვლის ტექნოლოგიას ჯერ ვერ ფლობს რეალური ხელისუფალი. ამიტომაც, იდეალურად ჩაფიქრებული სისტემა პრაქტიკაში მცირე ცდომილებებს ავლენს.

მედიათავისუფლება პიროვნული თავისუფლებიდან იღებს სათავეს, რაც ჟურნალისტიკაში ყველაფრის ნებადართულობას ნამდვილად არ გულისხმობს. რამდენად თავისუფალია დასავლური დემოკრატიის გზაზე აქტიურად შემდგარი ქვეყნის მოსახლეობა, რომლის სოლიდურ ნაწილს ყურმოკრული „ცოდნის“ საფუძველზე ყოველწლიურად უჩნდება პროტესტი ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის, „რუსული“ 8 მარტის[9] აღნიშვნასა და მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხების თარიღთან (8 თუ 9 მაისი)[5] დაკავშირებით და ყოველწლიურად საჭიროებს ვრცელ განმარტებას მათი ანტიგანწყობილების ალოგიკურობის თაობაზე? გერმანელი კლარა ცეტკინის[32] ინიციატივას რუსეთთან პირდაპირი კავშირი არ გააჩნია, დედის დღის (3 მარტი)[1] აღნიშვნის საფუძველსა და ქალთა სოლიდარობას შორის იდეური განსხვავებაა, ხოლო დღეს უკიდურესად მოდური „გენდერული თანასწორობა“ და „ფემინიზმი“ მათ შინაარსზე დაფიქრების ნაცვლად გრანტის მოპოვებაზე ორიენტირებული კონკურსანტების ვიწრო თვალსაწიერის გამო ქალურ სოლიდარობასთან ვერ ასოცირდება.

რაც შეეხება 9 მაისს ქართველ მებრძოლთა პატივისცემასა და გარდაცვლილ-დაღუპულთა ხსოვნის ღირსეულად აღნიშვნას, იქნებ, სულაც 30 აპრილი[33] აგვერჩია და მთელი მსოფლიოსთვის გადაგვესწრო, თუკი ჩვენი „პროდასავლური“ გაგებით დავუშვებთ, რომ ჰიტლერის სიკვდილით დასრულდა XX საუკუნის ყველაზე მასშტა-

BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ბური ომის ტრაგედია? ქართველებს მორალურ-ლეგალური უფლებაც კი გვაქვს, მსოფლიოს სხვა ერებისგან განსხვავებით, რომ 30 აპრილს მელიტონ ქანთარიას მიერ 21.50 საათზე რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვის დროით ვიზეიმოთ მეორე მსოფლიო ომში ჩვენი წარმატება.

სწორედ არაარსებით და ზენიუანსურ საკითხებთან დაკავშირებით ვლინდება ყველაზე ცხადად როგორც ზოგადად მედიის, ისე, კონკრეტულად, ქართული მედიის თანამედროვე ნაკლოვანი მხარეები. აგორდება თუ არა ჩვეული კამათი რომელიმე პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწის, ცნობილი „სახისა“ თუ სამამულო ომის მონაწილის მიერ საჯაროდ გამოთქმული ფრაზის გამო, ქართველი ჟურნალისტები ხანგრძლივად აღარ წყვეტენ 8 მარტსა და 9 მაისზე ლაპარაკს ტელეეკრანებიდან, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან თუ ბლოგოსფეროს უკიდეგანო სივრცეში. ცხადია, თავისუფალ მედიას საუბრის თემა არც არავინ უნდა განუსაზღვროს, მაგრამ სწორედ სხვათა გავლენით წარმოქმნილი ინფორმაციული ტალღები ბადებს ეჭვს ჟურნალისტიკის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასთან დაკავშირებით. ეს იმას წააგავს, სოფლის ბოლოს რომ მგლის შიშით ერთი ძაღლი დაიწკავწკავებს და დანარჩენების გაბმული ყეფა მყისიერად შეუერთდება. მართალია, ცალკეული ავტორების პროფესიონალიზმს ასეთი რეალობა ჩრდილს ვერ მიაყენებს, მაგრამ აშკარად წარმოაჩენს თანამედროვე ქართული მედიის განვითარების სასურველზე გაცილებით დაბალ საფეხურზე დგომას.

მესამე ათასწლეულში მედიის თავისუფლების ასპექტების განხილვა შეუძლებელია თანამედროვე დემოკრატიული ფასეულობებისა და არისტოტელესეული არჩევანის თავისუფლების[3] კონცეპტუალური ანალიზის გარეშე.[17] ჭეშმარიტი თავისუფლების ფილოსოფიური საფუძველი დემოკრატიასავით ძველია და იმავე წყაროდან[24] მომდინარეობს. აშკარად ჯერაც აქტუალურია ანტიკური პოსტულატი იმის თაობაზე, რომ ჭეშმარიტი თავისუფ-

BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ლება „არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებაა“.[3] არჩევანის თავისუფლებიდან რეალურ დემოკრატიამდე კი ნახევარი ნაბიჯიც აღარ რჩება. ამიტომაც, ისეთი საყოველთაოდ ყბადაღებული და ტრივიალური საკითხი, როგორიც მედიის თავისუფლება და უფლებებია, შორს ვერ წავა აღნიშნული ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეორიული წიაღიდან.

ჟურნალისტების თავისუფლებასთან დაკავშირებული თანამედროვე პრობლემა სწორედ დემოკრატიისა და თავისუფლების გაგებათა ძირეული სახეცვლილების გამო იჩენს თავს. ჟან-ჟაკ რუსოსი არ იყოს, თუ ღვინოზე მისაყოლებლად პური არ გაქვს, ბრიოში უნდა იყიდო.[26] აქ ხაზგასასმელია ის საყოველთაოდ მიჩქმალულ-იგნორირებული დეტალი, რომ აღნიშნულ პიროვნებას ლუკმაპური უჭირს, თორემ ღვინის შეძენის პრობლემა, თურმე, სულ არ აწუხებს. დემოკრატიის არქონის შემთხვევაში, ხალხს არჩევანის ილუზიაღა რჩება: აირჩევს თუ არა, ეს იქნება მისი ღვინოცა და წყალიც, ბრიოშიცა და პურიც არსობისა. საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის სურვილის მქონე სხვას ვერაფერს აირჩევს, სასურველის სახელის გარდა.

არისტოტელესეული ფილოსოფიის მიხედვით, სწორედ არჩევანის თავისუფლებაა უძველესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა კაცობრიობისა თუ მისი შემადგენელი ცალკეული ინდივიდისთვის. თანამედროვე რეალობაში, ადამიანს უბრალოდ ადარა აქვს არჩევანი, თუკი მის მიერ რაიმეს ან ვინმესადმი მინიჭებული უპირატესობით საბოლოო შედეგი ვერ იცვლება. ამის თვალნათელი ნიმუშია 2010 წლის საყოველთაო არჩევნების პერიპეტიები გაერთიანებულ სამეფოში: კონსერვატორი დევიდ კამერონის გამარჯვებისას ლიბერალ-დემოკრატი ნიკ კლეგი ხდებოდა მისი თანაშემწე, ხოლო კლეგის მიერ უპირატესობის მოპოვების შემთხვევაში, კამერონს მოუწევდა ვიცე-პრემიერობა.[25] შესაკრებთა (ანუ პოლიტიკურ პარტიათა) გადანაცვლებით ჯამი (ანუ არჩევნების შედეგი) რომ არ იცვლება, ეს ვერ უნდა შეამჩნიოს ახალმა თაობამ.

სწორედ ამიტომ ჩაანაცვლეს მათემატიკა ე.წ. ახმათით (ანუ „ახალი მათემატიკით“).[41] მსგავსი მოდიფიცირებულ-რეფორმირებული სიტუაციის გამო, აბსურდის ფილოსოფიის საზღვრებს სცილდება დღეს ინდივიდის თავისუფლებაზე მსჯელობა მოწინავე დემოკრატიების შემთხვევაშიც კი. „წიგნი უზენაესია. ესენი ანადგურებენ წიგნს... ვერ ამოვხსენი ვერაფრით, ვინ გვიშვება ამას და რატომ. ვერც ის გავიგე, რად გვჭირს ეს უშველებელი“, – უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ამას დარდობდა ოტია იოსელიანი,[7] განსხეულებულ ქართულ სულად რომ ესახება არაერთ თანამოქალაქეს.

სამყარო არასოდეს იყო სრულყოფილი და ვერც ოდესმე გახდება. ალბათ, თვით ოპტიმისტთა დიდი ნაწილიც უკვე შეგუებული უნდა იყოს ამგვარ რეალობას და ნოოკრატიის პერსპექტივაზე აღარც ოცნებობს. თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს გულზე ხელების დაკრეფას და მცირერიცხოვანი მმართველი ელიტისთვის სრული, უპირობო კარტ-ბლანშის მინიჭებას ადამიანთა თავისუფლების განკარგვისას. მმართველობის სასურველ ფორმად დემოკრატიის არჩევის შემთხვევაში, მისკენ მუდმივი მსვლელობის რეჟიმში უნდა ცხოვრობდეს და მოღვაწეობდეს ხალხიც, მისი დამოუკიდებელი მედიაცა და დემოკრატიული მთავრობაც. ამ დროს ჟურნალისტურ თავისუფლებას რაციონალური საფუძველი უნდა გააჩნდეს, რაც, ნიჭიერი თუ უნიჭო დილეტანტების ჟურნალისტებად მონათვლის უახლესი ტენდენციის გამო, ცხადია, შეუძლებელია. მოცემული პრობლემა მხოლოდ ქართული მედიის თავსატეხი არაა და დასავლეთევროპულ თუ ამერიკულ ჟურნალისტიკაშიც ვლინდება. ეს კიდევ უფრო ართულებს ეროვნული მედიის მდგომარეობას, რადგან ეტალონად საზღვარგარეთული წუნიანი ნიმუში აქვს დაწესებული.

დემოკრატიული ფასეულობებისა და თავისუფლების ცნების მართებული გაგებით თაობათა აღზრდიდან იწყება ზემოთ აღნიშნული მრავალწახნაგა პრობლემის გადაჭრისკენ სვლა. ამის საპირისპიროდ, სულ უფრო და

უფრო მცირდება ასაკი, რომლიდანაც მმართველობის პულტს ჩაფრენილი მცირე გუნდი საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნიკის უმაღლეს მიღწევათა გამოყენებით საკუთარ პროპაგანდისტულ წნეხში გამოწვრთნის ახალგაზრდობას და მედიავირუსის ბანგს[37] ისე შეუმჩნევლად აჩვევს, რომ საარჩევნო ხმად ქცეული თინეიჯერისთვის ნირვანასეული ყალბი ნეტარება და ილუზორული კეთილდღეობა ხდება რეალობა, მაშინ როცა ტკბილმწარე ყოფა უკუსაგდებ სიცრუედ ეჩვენება.

1883 წელს დაწერილ პამფლეტში „სიზარმაცის უფლება“ პოლ ლაფარგი[43] მისი თანამედროვე მონობის ფარულ, „ცივილიზებულ“ სისტემას ხდის ფარდას. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში პერიფერიული ჩაკარგულობის გამო ჩამორჩენილობიდან, დღევანდელი საქართველო უკვე გადასულია ისეთ ეტაპზე, როცა ლაფარგის მიერ განხილული საკითხი მისთვისაც აქტუალური გამხდარა. ბევრს საუბრობენ შრომის უფლებაზე, რომელიც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დაკარგულ-წართმეული აქვს. შენატრიან მოწინავე დასავლეთს, სადაც დასაქმების პრობლემა სისტემატიზირებულია. როგორც ყოველთვის, აქაც ძირეულის გვერდის ავლით სპეციალურად კეთდება აქცენტი მეორეხარისხოვანზე. ლაფარგი განიხილავს გაცილებით მნიშვნელოვან, პროგრესულ საკითხს – ადამიანის უფლებას, არ იმუშავოს. რასაკვირველია, იუმორის სათანადოდ აღქმის უნარს მოკლებული, ანდა ცინიზმის სუსხის მიზანმიმართულად ამსხლეტი კონტინგენტი, ჯერ ერთი, უსაქმურობის აპოლოგიად გამოაცხადებს „სიზარმაცის უფლების“ მოთხოვნას. მეორეც, სწორედ თავად შეეცდება პირველობას მის მიერვე უკუღმართად ინტერპრეტირებული კონცეფციის სათავისოდ გამოყენებაში. ეს ზუსტად ის გუნდია, ბიბლიის ალალბედზე გადაშლილი გვერდიდან ამოკითხულს რომ უკიჟინებს მასას მესიანისტური ომახით: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი არსობისაო“.[7] მათი ყოველდღიური ოფლისმოდინება კი ლუარსაბ თათქარიძის გამრჯე მეუღლისეულ „ბიჭების დაწიოკების“ ტაქტიკას[19] არ გასცილებია ჯერაც.

BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ყოველგვარი ორაზროვნებისა თუ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, უნდა აღინიშნოს, რომ პოლ ლაფარგისეულ ორიგინალში[42] გამოყენებული ფრანგული სიტყვა „მცონარობას, უქნარობას“ სულაც არ ნიშნავს. „სიზარმაცე“ აშკარად გააზრებულია, როგორც „უმოქმედობა“, რომელიც საქმის არკეთებას და პროფესიულისგან განსხვავებული აქტივობისთვის დროის გამოყენებას გულისხმობს. ეფექტურად ყურისმომჭრელი „სიზარმაცის უფლება“, ვფიქრობ, შრომისგან ინდივიდის მხოლოდ პერიოდულ გათავისუფლებას ითხოვს. დასვენების უფლების დაცვით, ცხადია, ავტომატურად და გაცილებით ეფექტურად შეიძლება ადამიანის შრომის უფლების დაცვა.[15] ამგვარი დამოკიდებულება საზოგადოებას ზოგადად თავისუფლების კონცეფციის რეალიზებასთან მიაახლოვებს და მედიათავისუფლებასაც შესაძლებელს გახდის.

შრომისა და დასვენების უფლებათა დაუცველობამ, მათმა ცხოვრებაში არ ან არასათანადოდ დანერგვამ წარმოქმნა განვითარებული ქვეყნების მოქალაქეთა განსაკუთრებული კატეგორია, ე.წ. პარაზიტი მარტოხელები.[35] სკოლის დამთავრების შემდეგ ისინი არ ზრუნავენ უმაღლეს განათლებასა და საკუთარ კარიერაზე, დაბალშემოსავლიანი გამომუშავების ხარჯზე, ლამის 50 წლამდე აგრძელებენ სანახევროდ მშობლების კმაყოფაზე არსებობას. 1980-იანი წლების ბოლოს ასეთების აღსანიშნავად იაპონიაში გაჩნდა ტერმინი „ფრიტერი“.[27] ამ კატეგორიის ახალგაზრდებისთვის პირადი თავისუფლება, დროის განკარგვის შეუზღუდაობა და დრესკოდის სრული იგნორირება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე პროფესიული წინსვლა და ცხოვრებისეული ამბიციები.

იძულებითი შრომისადმი მწერლის პროტესტიც იყო და „სიზარმაცის უფლებისთვის“ ბრძოლაც, როდესაც პოლარული წრის იქით, სუსხიანი ვორკუტის უმკაცრესი რეჟიმის შრომის ბანაკში გათოშილი თითებით ნებისმიერ ვარგის ზედაპირზე „გმირთა ვარამის“ ფერად სამყაროს ქმნიდა ლევან გოთუა. ცხოვრების ერთი მესამედი მავთულხლართებს მიღმა, საქართველოდან ძალიან შორს

BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

გაატარა მწერალმა. მან სრულიად წარმოუდგენელ პირობებში შეძლო სულის გადარჩენა, სამშობლოს „სიყვარულში დახარჯვა“ და ადამიანის უფლებების დაცვის უპრეცედენტო მაგალითის ჩვენება.[20] ძნელი დასადგენია, ჰქონდა თუ არა ქართველ მწერალს პოლ ლაფარგის ნაშრომთან შეხება, მაგრამ თავისუფლების არისტოტელესეული კონცეფციის არსს რომ ბოლომდე ჩასწვდა, უდავოა.

სენ-პელაჟის ციხის[40] საკანში გამომწყვდეულმა ფრანგმა ავტორმა ისევ და ისევ ძველ საბერძნეთში დეტალურად შესწავლილი და განხილული თემა (დასვენების საათების გონივრულად განკარგვა) განავრცო. არისტოტელეს მიერ მოქალაქის სწორად აღზრდის სისტემაში სერიოზული ადგილი ეთმობა პიროვნების ჰარმონიულად განვითარებას, რაც ითვალისწინებს ადამიანის მომზადებას თავისუფალი დროისთვის.[34] ეს არც გართობას გულისხმობს და არც დახარჯული ენერგიის აღდგენის მიზნით დასვენებას. ამ დროს ხორციელდება შემეცნება შემეცნებისთვის, ფილოსოფოსობა. სწორედ ესაა ადამიანის ღვთაებრივი ცხოვრება, რომელსაც მაშინ დავშორდით, როცა ფიქრი დაგვეზარა – გადაგვაჩვიეს და გადავეჩვიეთ. ფიქრის ფუნქციამოკლებული და უნარდაკარგული ჰომო საპიენსები იოლად თანხმდებიან „მათდა სასიკეთოდ შემუშავებულ“, „დემოკრატიულ“ საარჩევნო სისტემას. არის რაღაც პილატესეული[4] ასეთ პოზიციაში.

მართებული გზისკენ მიბრუნება მხოლოდ საგნების ჭეშმარიტი ბუნების ცოდნით არის შესაძლებელი. რადგან „ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“,[16] სწორედ პატარებზე ზრუნვითა და მათი არჩევანის დაცვით შეიძლება ჩვენი თავისუფლების რეალიზება. განათლების რეფორმა ვერასოდეს მიაღწევს XXI საუკუნისთვის შესაფერის სტანდარტებს, თუკი რეფორმატორები არ გაითვალისწინებენ „სკოლის“[34] რეალურ მნიშვნელობას. საეჭვოა, რომ ეს უვიცობით მოსდის ვინმეს ან აქ, ან ჩვენზე გაცილებით განვითარებულ დასავლეთში. სწორედ დასაქმების გაფეტიშების პოლიტიკას წარმართავენ დემოკრატიის სახელით მოქმედი თვითმპყრობელები ავტოკრატიული სამ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თავრობო სავარძლებიდან. ასე ტრანსფორმირდა ანტიკური პერიოდის მონათმფლობელური კასტა თანამედროვე ბიზნესსაზოგადოებად. მესაკუთრეთა და მმართველთაგან შემდგარი დღევანდელი წარჩინებულნი უმრავლესობის შრომის უფლებას არეგულირებენ თავგადაკლულად. ადამიანთა ამ ორ კატეგორიას შორის ნამდვილად არ არსებობს ისეთი თვალნათელი განსხვავება, როგორიც არაბულ ბედაურსა და პრჟევალსკის ცხენს[14] შორის, მაგრამ სწორედ ასეთია როლთა გადანაწილება. თუმცა ეს პროცესი კარგა ხნის წინათ დაიწყო მსოფლიოს პროგრესულ ნაწილში, იგი არც საქართველოსთვისაა გუშინდელი ან გუშინწინდელი. არქიფო სეთურს[2] უთუოდ მრავლად ჰყავდა პროტოტიპები რეალური ცხოვრებიდან. ადამიანის დასჯა სამუშაოს გარეშე დატოვებით მისი სრული დამონების ზემეთოდია, რომლის ტექნიკური სრულყოფა კვლავაც გრძელდება.

თანამედროვე ცხოვრებაში მოცალეობის ჟამს საკუთარი სურვილისამებრ ვერ გაატარებ. მართალია დასვენებას დუჩესავით დოპოლავოროს[31] კანონებით არ დაგიგეგმავენ, მაგრამ ვერც თავად განკარგავ ყოველ წუთს. მიდიხარ შარდენზე, რადგან ყველა იქ დადის. სრიალებ გუდაურში, რადგან იქ უნდა გნახონ. ცურავ შეკვეთილში, როგორც დანარჩენები. სამეზობლოსა თუ სამეგობროს „პატარა მუსოლინები“ პირად სივრცეში უბოდიშოდ იჭრებიან და სამსახურის შემდეგ დარჩენილ თავისუფალ სივრცეს ენერგიულად გივსებენ. იცვამ, ჭამ, უყურებ, ამბობ, ისმენ, გიყვარს, გძულს, აქებ და იწონებ იმას, რასაც „შენი“ წრე. ეს უჩინარი წრეები კი მედიავირუსთა საშუალებით პიროვნების ნებაზე უხილავად გარსშემოხვეული ბორკილებია. სწორედ მათი არქონა განასხვავებს ადამიანის თავისუფლებას ადამიანის თავისუფლების ექსპლუატირებისგან.

პოლ ლაფარგი და მისი მეუღლე ლაურა ადამიანის თავისუფლების ერთ-ერთ ძირეულ ასპექტად თვლიდნენ „დროის თავისუფლად განკარგვის უფლებას“,[42] რის გარეშეც ინდივიდი „დროის მონად“ გადაიქცევა. ამ იდეი-

BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

სადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა 1911 წლის 25 ნოემბრის ღამეს სცადა არაორდინალურად მოაზროვნე ცოლ-ქმარმა. უმაღლეს ფილოსოფიურ დონეზე, ალბათ, სიცოცხლის უფლებასაც თავად ვირჩევთ ან, იქნებ, ესეც „თეორიული“ ილუზიაა. სამოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას მერე, რაც 1948 წელს ჰაროლდ ინისმა[30] საჯარო გამოსვლისას განაცხადა: „აზროვნების თავისუფლებას საფრთხეს უქმნის მეცნიერება, ტექნოლოგია, ცოდნის მექანიზაცია და, ყველაფერთან ერთად, დასავლური ცივილიზაცია“.[38]

ვარდის სურნელი გაცილებით ფასეულია, ვიდრე ვარდად მონათლული[6] ბეგონია ფანჯრის რაფაზე ქოთანში – იოლად საშოვნელი და მოსავლელადაც მარტივი. თანამედროვე მედიავირუსის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი გამოვლინებაა[23] ხალხისთვის სასურველ ფასეულობათა სახელების გამოყენება მათთვის არასასურველის გაიოლებულად შესანიღბად. ჟურნალისტიკას ძველებურად სიამოვნებს „მეოთხე ხელისუფლების“ შესახებ ლეგენდის გახსენება. ასეთი პასიური ნოსტალგია საფრთხეს არავის უქმნის და მას არც ვინმე გააპროტესტებს ან შეებრძოლება. საკითხავია, ნამდვილი ჟურნალისტიკის უფლებებისა და ჭეშმარიტი მედიათავისუფლების[39] უნახავი თაობა რომ გაიზრდება, მაშინ რაღა ეშველება ამ სრულიად მივიწყებულ პროფესიას და მის დანატოვარს. ბეგონია, შესაძლოა, საკმაოდ მომხიბლავ მცენარედაც მოეჩვენოს ვარდისუხილავ ადამიანს.

ლიტერატურა ▫ References

1. 3 მარტს დედის დღე აღინიშნება – როგორ დაწესდა სადღესასწაულო დღე დედებისთვის, კვირა+, 3 მარტი, 2016.
2. ამირეჯიბი ჭაბუა (1978), დათა თუთაშხია, მეორე გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
3. არისტოტელე (1994), დიდი ეთიკა, თბილისი.
4. ახალი აღთქმა, მათეს სახარება, 27:20-27:26 (orthodoxy.ge).

5. გოგუაძე ლადო, 9, 8 თუ 7 მაისი?!, გაზ. „კვირის პალიტრა“, 26 ნოემბერი, 2012 (kvirispalitra.ge).
6. ეკო უმბერტო (2011), ვარდის სახელი, თბილისი: „დიოგენე“.
7. ერაძე ეთერ, ოტიას სიტყვის სურნელი, გაზ. „კვირის პალიტრა“, 29 აგვისტო, 2011.
8. მსოფლიო კულტურა და ხელოვნება: სასკოლო ლექსიკონი (2011), შემდგ. ნუგზარ ბარდაველიძე, თბილისი: სულხან-საბას საგანმანათლებლო საზოგადოება.
9. მჭედლიშვილი ნონა, 8 მარტი – დღესასწაული, რომლის ყოფნა-არყოფნის საკითხი, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მესამედ ხდება ხელისუფალთა განსჯის საგანი, რადიო „თავისუფლება, 25 თებერვალი, 2003.
10. ნადარეიშვილი მაია (2011), მედია და პოლიტიკური იმიჯი, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 9-16.
11. იქვე, გვ. 441.
12. *koxora :D*, parkoo85, YouTube, 6 May 2009.
13. გლობალური სოფლის კონცეფცია [იხ.: McLuhan, Marshall (2017), *The Gutenberg Galaxy: The Making of Typographic Man*, Kindle Edition, University of Toronto Press]; [იხ.: McLuhan, Marshall (2013), *Understanding Media: The Extensions of Man*, Kindle Edition, Berkley (CA): Gingko Press Inc.].
14. პრჟევალსკის ცხენი მნიშვნელოვანი ფიგურაა – თბილისის ზოოპარკი, პორტალი „სითი კვირა“, 3 თებერვალი, 2018.
15. საქართველოს შრომის კოდექსი, 4113-რს, სსმ, 75, 27 დეკემბერი, 2010, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
16. სენტ-ეგზიუპერი ანტუან დე (2015), პატარა პრინცი, თბილისი: გამომცემლობა „ელფი“.
17. ტყებუჩავა დიანა (1997), პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები, თბილისი: თსუ გამომცემლობა, გვ. 6.
18. ფენიმორ კუპერი ჯეიმს (2014), უკანასკნელი მოჰიკანი, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“. ISBN: 978-9941215520.
19. ჭავჭავაძე ილია (2005), კაცია-ადამიანი?!, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
20. ხარშილაძე ირმა, სად და როგორ დაიწერა ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, ჟურნ. „გზა“, 11 მარტი, 2015.
21. ხაჭაპურიძე ელენე, რატომ უნდა აღვნიშნოთ 8 მარტი, ნეტგაზეთი, 8 მარტი, 2012 (netgazeti.ge).
22. The Constitution provides a separation of powers into three branches of the U.S. Government: Legislative makes laws (includes Congress, Senate, and House of Representatives), Executive carries out laws (includes the President, the Vice President, and Cabinet), Judicial interprets laws (includes the Supreme Court, and other federal courts) (usa.gov).
23. *A Devil's Chaplain: Reflections on Hope, Lies, Science, and Love*, Richard Dawkins, Boston, MA: Mariner Books, 2004.

24. Bates, Jr., Clifford Angell (2002), *Aristotle's "Best Regime": Kingship, Democracy, and the Rule of Law*, Baton Rouge: Louisiana State University Press.
25. *British general election of 2010*, written by The Editors of Encyclopaedia Britannica, Britannica, Retrieve 12 July 2018.
26. *Confessions*, Jean-Jacques Rousseau, trans. Angela Scholar, New York: Oxford University Press, 2000, p. 262.
27. Cortazzi, Hugh, *The 'freeter' phenomenon*, The Japan Times, 14 February 2001 (japantimes.co.jp).
28. Cribb, Julian (2010), *The Coming Famine: The Global Food Crisis and What We Can Do to Avoid It*, Los Angeles: University of California Press.
29. „Homo Cantor – ადამიანი მომდერალი" (2013, რეჟ. თინათინ ნიკურაძე; მაესტრო ნოდარ ანდღულაძის ბოლო ინტერვიუ).
30. Innis, Harold (1951), *The Bias of Communication*, Toronto: University of Toronto Press, pp. 83-89 (A Plea for Time).
31. Kallis, Aristotle, ed. (2003), *The Fascism Reader*, London: Routledge.
32. Kaplan, Temma (1985), *On the Socialist Origins of International Women's Day*, Feminist Studies, 11 (1), pp. 163-171.
33. Kershaw, Ian (2008), *Hitler: A Biography*, New York, NY: W.W. Norton & Company, p. 955.
34. Liddell, Henry George, and Robert Scott (1940), *A Greek-English Lexicon*, revised and augmented throughout by Sir Henry Stuart Jones with the assistance of Roderick McKenzie, Oxford: Clarendon Press.
35. Lunsing, Wim, *'Parasite' and 'Non-parasite' Singles: Japanese Journalists and Scholars Taking Positions*, Social Science Japan Journal, VOl. 6, No. 2 (October 2003), Oxford University Press, pp. 261-265.
36. Parry, Wynne, *Bid Rename Homo Sapiens Is Called Unwise*, Live Science, 17 August 2011.
37. Rushkoff, Douglas (1996), *Media Virus!*, New York: Ballantine Books.
38. Stamps, Judith (1995), *Unthinking Modernity: Innis, McLuhan and the Frankfurt School*, Montreal: McGill-Queen's University Press.
39. *The Magic of Reality: How We Know What's Really True*, Richard Dawkins, New York, NY: Free Press, 2011.
40. *The Right To Be Lazy*, Paul Lafargue, Sainte-Pélagie Prison, translated by Charles Kerr, Charles Kerr and Co., Co-operative, 1883.
41. *Why parents can't do maths today*, BBC NEWS Magazine, 10 September 2010.
42. Жорда Анри, *«Право на лень»: срочно перечитать*, Голос России, 28.11.2011 [იხ.: Henri Jorda, *«Le droit à la paresse», à relire d'urgence*, Libération, 28 novembre 2011].
43. Лафарг Поль (2012), *Право на лень; Религия капитала*, Из наследия мировой политологии, пер. с фр., Москва: Издательство «КД Либроком».